



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2014 წლის 16 ივლისის
 № 1234 დადგენილებით
მოდიფიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2019 წლის 23 სექტემბერი
 № 01-05-04/265 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მევენახეობა და მეღვინეობა

Viticulture and Enology

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგი

Agricultural Sciences and Bio Systems Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ნინო ჩხარტიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

აგრარული მეცნიერებების მაგისტრი
 (Master of agricultural sciences)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ (01) აგრარული მეცნიერების, (05) მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/News/?ELEMENT_ID=12830 გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი და მოიცავს 120 კრედიტს; სასწავლო კომპონენტი - 75 კრედიტი; კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას/კოლოკვიუმს - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა.

სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

პირველი წლის პირველ სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს სპეციალობის 6 სავალდებულო სასწავლო კურსს: „ამპელოგრაფია“ 5 კრედიტი, „ღვინის ქიმია“ 4 კრედიტი, „ღვინის მიკრობიოლოგიის გამლიერებული კურსი“ 4 კრედიტი, „ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები“ 4 კრედიტი; „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია“ 4 კრედიტი, ერთ სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს რომელსაც ირჩევს კურსებიდან: ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა); ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა); ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა); ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა).

ასევე, 4 კრედიტის ოდენობით, ირჩევს „სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან“: „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია“ და „საწარმოო ნარჩენების მართვა“. ჯამში: 30 კრედიტი;

პირველი წლის მეორე სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს სპეციალობის 4 სავალდებულო სასწავლო კურსს: „მევენახეობის ოპერაციული მართვა „ 5 კრედიტი, „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია“ - 6 კრედიტი, „საველე და საწარმოო პრაქტიკა“ 5 კრედიტი და სავალდებულო 5 კრედიტიან სასწავლო კურსს რომელსაც ირჩევს კურსებიდან: დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული), დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული), დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა), დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული), ასევე აქვს სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი რომელიც მოიცავს 5 კრედიტს.

ასევე, 4 კრედიტის ოდენობით, ირჩევს „სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან“: „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“, „მოწყობილობათა ოპერაციები“ და „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“. ჯამში: 30 კრედიტი;

მეორე წლის პირველ სემესტრში მაგისტრანტი სწავლობს 4 სავალდებულო სასწავლო კურსს: ერთ 6 კრედიტიან სასწავლო კურსს - „ღვინის ტურიზმი და მარკეტინგი“, ორ 5 კრედიტიან სასწავლო კურსს: „კვლევის მეთოდები და ექსპერიმენტი“ და „მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება“ და ერთ 4 კრედიტიან სასწავლო კურსს „ღვინის წარმოების ხარისხის მართვა“. ასევე აქვს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/ კოლოკვიუმი, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს.

ჯამში: 30 კრედიტი

მეორე წლის მეორე სემესტრში მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის დებულების შესახებ განთავსებულია სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleb_230819_SD.pdf

ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ ადგენს დეკანატი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად. მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debdanarti3_2019.pdf

კვლევითი კომპონენტი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია: სამაგისტრო კვლევის პროექტი/ პროსპექტუსი (5 კრედიტი). თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი (10 კრედიტი). სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი). მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით, რომელიც სრულდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და თანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრულ შესაბამისი პროფილის ორგანიზაციაში.

სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით.

სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, რომელიც განთავსებულია სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debdanarti4_2019_SD.pdf

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმს მაგისტრანტი იწყებს სწავლების მეორე წელს,

მესამე სემესტრში და გულისხმობს სამაგისტრო თემასთან/მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოკვიუმზე მან უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოადგინოს მიღებული შედეგები.

კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის შედეგების წარმოდგენა/პრეზენტაცია, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა. პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.

კოლოკვიუმის შეფასების მიზნით კვლევის შედეგები შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) წერილობით წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის 3-5 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიაში შედიან შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. კოლოკვიუმის შეფასება ხდება 5 კრიტერიუმის მიხედვით: ჩატარებული კვლევის მეთოდებისა და მიმართულების შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან, ჩატარებული კვლევის ხარისხი, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება, კვლევის შემდგომი მიმართულების განსაზღვრა, თემის წარდგენის უნარი.

კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში, რომელიც განთავსებულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debdanarti4_2019_SD.pdf

საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა - დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისას საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულით. აუცილებელია მისი საჯარო დაცვა. საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვას აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა, პრაქტიკული მნიშვნელობა - შეფასება 4 ქულამდე; საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი - შეფასება 4 ქულამდე; კვლევის მეთოდების გამოყენება - შეფასება 4 ქულამდე; ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯა - შეფასება 4 ქულამდე; ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - შეფასება 4 ქულამდე; ნაშრომის გაფორმების ხარისხი და მისი წარმოჩენის ხარისხი - შეფასება 5 ქულამდე.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია

მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debdanarti5_2019_SD.pdf

საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debdanarti4_2019_SD.pdf

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე: http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debdanarti4_2019_SD.pdf

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ მიზანია სტუდენტს შეასწავლოს მევენახეობა და მისი აგროტექნოლოგია, ვენახის გაშენებისადმი წაყენებული მოთხოვნები და მოვლა-მოყვანის თავისებურებები, ყურძნის ტრადიციული, ინოვაციური და კლასიკური გადამამუშავების პროცესები და მასთან დაკავშირებული სტანდარტები, ალკოჰოლური დუღილის დროს მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები, ყურძნისა და ყურძნისეული წარმოშობის სასმელების ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა, მათი სენსორული შეფასება, ღვინის დაავადებები, ღვინის ბაზრების თავისებურებები და მომხმარებელთა ქცევა, ღვინის ტურიზმის მნიშვნელობა და ღვინის საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ხარისხის მართვისა და კონტროლის მექანიზმები და მოამზადოს აგრარული მეცნიერებების მაგისტრი - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არსებული და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი, რომელიც მართავს ღვინის წარმოების სრულ ჯაჭვს - ყურძნის მოყვანა-გაშენებიდან - საბოლოო მომხმარებელამდე.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

- აღწერს აგროკლიმატური პირობების გავლენას ვაზსა და ღვინის ხარისხზე; უახლესი

მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად გეგმავს ვენახის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიურ ოპერაციებს, მოსავლის ორგანიზებას; აანალიზებს მევენახეობაში არსებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;

- აფასებს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის, მათ შორის ადგილწარმოშობის დასახელების რეგიონებსა და მათ მახასიათებლებს, გავრცელებულ ვაზის ჯიშებსა და აგროტექნოლოგიურ თავისებურებებს;
- ყურძნის გადამამუშავების დროს მიმდინარე ბიოქიმიურ და ფიზიკო-ქიმიურ პროცესებს, მსოფლიოში ყურძნის გადამამუშავების კლასიკურ, ტრადიციულ და ინოვაციურ ტენდენციებს, ადგენს ამა თუ იმ ტიპის ღვინის, მათ შორის ქვევრის ღვინის წარმოების მიზნით მოსავლის ხარისხს, ყურძნის სიმწიფესა და მისი გადამამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს;
- ახდენს ღვინის დაავადებების იდენტიფიცირებას; განიხილავს მათი წარმოქმნის მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებს; განსაზღვრავს ღვინის დეგუსტაციებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს;
- აკავშირებს: ღვინოს, როგორც უძველეს კულტურას და მის მნიშვნელობას ტურიზმისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ღვინის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.
- განსაზღვრავს რთველის ოპტიმალურ თარიღს და ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების მართვა-განხორციელებას; მომქმედი რეგულაციების შესაბამისად მართავს ყურძნის მოყვანის პროცესებსა და მეღვინეობის ოპერაციების მონიტორინგს;
- გეგმავს პროდუქციის შემდგომი სრულყოფის და ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინებით ცვლილებების შესაბამისად ეფექტური, თანამედროვე მეთოდებისა და ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას, ტექნოლოგიური რეგლამენტის კორექტირებას და ექსპერტიზის შეფასება-შეჯერებას სტანდარტებთან და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობაში.
- კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების ირგვლივ შეიმუშავებს თავის დასკვნებს, პერსპექტივებსა და ინოვაციურ წინადადებებს. აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას აყალიბებს არგუმენტებს.
- იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, დასაბუთებულად წარმოაჩენს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებულ და ინოვაციურ ხედვებს.
- ეკოლოგიურად სუფთა ხარისხიანი პროდუქტის წარმოების ამაღლებისაკენ მუდმივი სწრაფვა, მათი გაუმჯობესებისა და დამკვიდრებისათვის ზრუნვა.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, ღვინის მარკეტინგის მიმართულებით ეს შესაძლებელია იყოს კონკრეტული ქვეყნის ბაზრის მიმოხილვა, მომხმარებლის კვლევა და ამ ბაზარზე შესაძლებელი სტრატეგიის განხილვა - მაგალითად, ავსტრალიის მიერ ჩინეთის ბაზრისა და მომხმარებლის შესწავლის ანალიზი და სტრატეგიის დაგეგმვა და ა. შ.

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან.

როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

ლაბორატორიული მუშაობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. 2 ექსპერიმენტულ სასწავლო ლაბორატორიებში გამოიმუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა. გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

პრაქტიკული მუშაობა დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. უკუგება უზრუნველყოფილია. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისაგან და საგნის პედაგოგისგან, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით.

მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტს აქვს სტუ-ს ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ.

შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შუასემესტრული და დასკვნითი შეფასებების შესახებ მისცემს მას საშუალებას გაითვალისწინოს საკუთარი ხარვეზები და იზრუნოს მათ გამოსწორებაზე.

დასაქმების სფერო

- დარგობრივი კერძო სექტორი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი-სამეურნეო-ექსპერიმენტალური მეურნეობები და ბაზები;
- აკრედიტირებული ლაბორატორიები;
- ენოლოგი;
- სადეგუსტაციო კომისიები;
- სამთავრობო რგოლები;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- ღვინის ეროვნული სააგენტო;
- რეგიონალური სამსახურები;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სადეფუსტაციო კომისია;

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 25

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი				
			I წელი		II წელი		
			სემესტრი				
			I	II	III	IV	
1	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური),	არ გააჩნია	5				
	ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული),						
	ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული),						
	ბიზნესკომუნიკაცია (რუსული).						
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	არ გააჩნია	5				
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული ენა)						
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული ენა)						
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული ენა)						
3	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია	ამპელოგრაფია; ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი, ღვინის ქიმიკა;	6				
4	ღვინის ქიმიკა	არ გააჩნია	4				

5	ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი	არ გააჩნია	4			
6	მევენახეობის ოპერაციული მართვა	ამპელოგრაფია		5		
7	ამპელოგრაფია	არ გააჩნია	5			
8	ვაზის მავნებელ დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები	არ გააჩნია	4			
9	ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია	არ გააჩნია	4			
10	საველე და საწარმოო პრაქტიკა	ამპელოგრაფია, ღვინის ქიმია, მევენახეობის ოპერაციული მართვა. ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი.		5		
11	კვლევის მეთოდოლოგია და ექსპერიმენტი	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია			5	
12	ღვინის ტურიზმი და მარკეტინგი	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია			6	
13	მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია, ვაზის მავნებელ დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები; ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია;			5	
14	ღვინის წარმოების ხარისხის მართვა	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია, ვაზის მავნებელ დაავადებები და ინტეგრირებული			4	

		დაცვის მეთოდები;				
15	არჩევითი სასწავლო კურსები					
15.1	ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია	არ გააჩნია	4			
15.2	საწარმოო ნარჩენების მართვა	არ გააჩნია				
15.3	ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	არ გააჩნია	4			
15.4	მოწყობილობათა ოპერაციები	არ გააჩნია				
15.5	ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა	არ გააჩნია				
სემესტრში			30	25	20	30
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ გააჩნია		5		
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი

				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH12412G1-LP LEH12612G1-LP LEH12212G1-LP LEH12812G1-LP	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	5/135	15		30				2	2	76
2	LEH12312G1-LP LEH12712G1-LP LEH12312G1-LP LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/135	15		30				2	2	76
3	MAP12610G2-LSP	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია	6/150	15	15	30				1	1	88
4	BRS22910G1-LB	ღვინის ქიმია	4/100	15			15			1	1	68
5	BRS17310G1-LB	ღვინის მიკრობიოლოგიის გამლიერებული კურსი	4/100	15			15			1	1	68
6	AGC23710G1-LS	მევენახეობის ოპერაციული მართვა	5/125	30	15					1	1	78
7	AGC23810G1-LS	ამპელოგრაფია	5/125	15	30					1	1	78
8	BRS17410G1-LS	ვაზის მავნებელ დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები	4/100	15	15					1	1	68
9	BRS23010G1-LB	ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია	4/100	15			15			1	1	68
10	MAP12710G2-R	საველე და საწარმოო პრაქტიკა	5/125					45		1	1	78
11	MAP12810G2-LR	კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი	5/125	15		30				1	1	78
12	BUA54410G1-LSK	ღვინის ტურიზმი და მარკეტინგი	6/150	30	15				15	1	1	88
13	MAP12910G2-LSP	მსოფლიო ღვინო პროდუქცია და	5/125	15	15	15				1	1	78

		ღვინის სენსორული შეფასება										
14	BUA37510G2-LS	ღვინის წარმოების ხარისხის მართვა	4/100	15	15					1	1	68
15		<u>არჩევითი სასწავლო კურსები</u>										
15.1	AGC23910G1-LP	ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია	4/100	15		15				1	1	68
15.2	BUA37610G2-LS	საწარმოო ნარჩენების მართვა	4/100	15	15					1	1	68
15.3	PHS11410G2-LB	ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	4/100	15		15				1	1	68
15.4	MAP13010G2-LB	მოწყობილობათა ოპერაციები	4/100	15			15			1	1	68
15.5	BUA37710G2-LS	ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა	4/100	15	15					1	1	68

პროგრამის ხელმძღვანელი

ნინო ჩხარტიშვილი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნინო ლომიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის
16 ივლისის № 1234 დადგენილებით

მოდირიგებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №61 21.09.2019 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა

პროგრამის სწავლის შედეგი¹

<p>სასწავლო კურსი</p>	<p>მევენახეობა-მეღვინეობის სფეროს მრავალფეროვნების, მათ შორის ადგილობრივი წარმოების დასახელების რეგიონებსა და მათი მახასიათებლებს, გავრცელებულ ვაზის ჯიშებსა და აგროტექნოლოგიურ თავისებურებებს;</p>	<p>მსოფლიო ყურძნის გადამამუშავების მრავალფეროვნების, მათ შორის ბიოქიმიურ და ფიზიკო-ქიმიურ პროცესებს, მსოფლიოში ყურძნის გადამამუშავების კლასიკურ, ტრადიციულ და ინოვაციურ ტენდენციებს, ადგენს ამ თუ იმ ტიპის ღვინის, მათ შორის ქვევრის ღვინის წარმოების მიზნით მოსავლის ხარისხს, ყურძნის სიმწიფესა და მისი გადამამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს;</p>	<p>ახდენს ღვინის დაავადებების დენტიფიცირებას; განიხილავს მათი წარმოქმნის მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებს; განსაზღვრავს ღვინის დეგუსტაციისა და წაყენებულ ბაზარზე მოთხოვნებსა და სტანდარტებს;</p>	<p>აკავშირებს: ღვინოს, როგორც უძველეს კულტურას და მის მნიშვნელობას ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარებაში, ღვინის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.</p>	<p>განსაზღვრავს ცრთვების ოპტიმალურ თარიღს და ღვინის დაყენების პროცესების მართვა-განხორციელებას; განხორციელებს რეგულაციების შესაბამისად მართავს ყურძნის მოყვანის პროცესებსა და მეღვინეობის ოპერაციების მონიტორინგს;</p>	<p>გეგმავს პროდუქციის შემდგომი სრულყოფის და ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინებით ცვლილებების შესაბამისად ეფექტური, თანამედროვე მეთოდებისა და აღჭურვილობის დაგეგმვა-განხორციელებას, ტექნოლოგიური რეგლამენტის კორექტირებას და ექსპერტიზის შეფასება-შეჯერებას სტანდარტებთან და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობაში.</p>	<p>კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების ირგვლივ შეიმუშავებს თავის დასკვნებს, პერსპექტივებსა და ინოვაციურ წინადადებებს.</p>	<p>იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, წარმოების დასაბუთებულ ამაღლებულ დ წარმოაჩენს მუდმივი სწრაფვა, მათი გაუმჯობესებისა და დამკვიდრებისათვის.</p>
-----------------------	---	---	--	---	--	--	---	--

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	-	-	-	-	1	-	-	1	-	-
დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	-	-	-	-	1	-	-	1	-	-
ღვინის ქიმიის	-	-	1	1	1	1	1	1	1	1
ღვინის მიკრობიოლოგიის	-	-	1	1	1	1	1	1	1	1

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

გადლიერებულ ი კურსი										
ამპელოგრაფია	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მევენახეობის ოპერაციული მართვა	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
ვაზის მავნებელ დაავადებები და ინტეგრირებუ ლი დაცვის მეთოდები	1	1	1	1		1	1	1	1	1
ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია	-	-	1	1	1	1	1	1	1	1
ღვინისა და ყურძნისეულ ი წარმოშობის პროდუქტები ს ტექნოლოგია	-	2	2	2	2	2	2	2	2	2
ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია	1	1	1	1	-	1	1	1	1	1
საწამო ნარჩენების მართვა	-	-	1	1	-	1	1	1	1	1
ფიზიკური და კოლოიდური ქიმია	-	-	1	1	-	1	1	1	1	1
მოწყობილობა თა ოპერაციები	1	1	1	1	-	1	1	1	1	1

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ღვინის ტურიზმი და მარკეტინგი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ღვინის წარმოების ხარისხის მართვა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
საველე და საწარმოო პრაქტიკა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
კვლევის მეთოდოლოგია და ექსპერიმენტი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროს პექტუსი	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
თეორიული /ექსპერიმენტუ ლი კვლევა/კოლოქ ვიუმი	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
სამაგისტრო	3	3	3	3	3	3	3	3	3	3

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

ნაშრომის დასრულება და დაცვა										
-----------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

¹ პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვები: გაცნობა - 1; გაღრმავება - 2; განმტკიცება - 3.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა²

<p>პროგრამის მიზნები</p>	<p>მევენახეობა - მეღვინეობის სფეროს ღრმად და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; აღწერს აგროკლიმატური პირობების გავლენას ვაზსა და ღვინის ხარისხზე; უახლესი მეთოდებისა და მიღწემების გამოყენებით დამოუკიდებლად გემამავს ვენახის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიურ ოპერაციებს, მოსავლის ორგანიზებას; ანალიზებს მევენახეობაში არსებულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;</p>	<p>აფასებს მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის, მათ შორის ადგილობრივობის დასახელების რეგონებსა და მათ მახასიათებლებს, გავრცელებულ ვაზის ჯიშებსა და აგროტექნოლოგიურ თავისებურებებს;</p>	<p>ყურძნის გადამამუშავების დროს მიმდინარე ბიოქიმიურ და ფიზიკო-ქიმიურ პროცესებს, მსოფლიოში ყურძნის გადამამუშავების კლასიკურ, ტრადიციულ და ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ადგენს ამა თუ იმ ტიპის ღვინის, მათ შორის ქვერის ღვინის წარმოების მიზნით მოსავლის ხარისხს, ყურძნის სიმწიფესა და მისი გადამამუშავების ტექნოლოგიურ სქემებს;</p>	<p>ახდენს ღვინის დაავადებების იდენტიფიცირებას; განიხილავს მათი წარმოქმნის მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებს; განსაზღვრავს ღვინის დეფუსტაციებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს;</p>	<p>აკვშირებს: ღვინოს, როგორც უმველეს კულტურას და მის მნიშვნელობას ტურიზმისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ღვინის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.</p>	<p>განსაზღვრავს რთველის ოპტიმალურ თარიღს და ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების მარიაგა-განხორციელებას; მიმქმედო რეგულაციების შესაბამისად მართავს ყურძნის მოყვანის პროცესებსა და მეღვინეობის ოპერაციების მონიტორინგს;</p>	<p>გემამავს პროდუქციის შემდგომი სრულყოფის და ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინებით ცვლილებების შესაბამისად ეფექტური, თანამედროვე მეთოდებისა და ლინისიების დაგეგმვა-განხორციელებას, ტექნოლოგიური რეგლამენტის კორექტირებას და ექსპერტიზის შეფასება-შეჯერებას სტანდარტებთან და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობაში.</p>	<p>კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მევენახეობა-მეღვინეობის პრობლემების ირგვლივ შეიმუშავებს თავის დასკვნებს, პერსპექტივებსა და ინოვაციურ წინადადებებს. აკადემიური თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას აყალიბებს არგუმენტებს.</p>	<p>იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, დასაბუთებულად წარმოაჩენს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებულ და ინოვაციურ ხედვებს.</p>	<p>ეკოლოგიურად სუფთა ხარისხიანი პროდუქტის წარმოების ამალგებისაკენ მუდმივი სწრაფვა, მათი გაუმჯობესებისა და დამკვიდრებისათვის ზრუნვა.</p>
<p>შეასწავლოს მევენახეობა და მისი აგროტექნოლოგია, ვენახის გაშენებისადმი წაყენებული მოთხოვნები და მოვლა-მოყვანის თავისებურებები, ყურძნის ტრადიციული, ინოვაციური და კლასიკური გადამამუშავების</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>	<p>✓</p>

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.

<p>პროცესები და მასთან დაკავშირებული სტანდარტები, ალკოჰოლური დუღილის დროს მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები, ყურძნისა და ყურძნისეული წარმოშობის სასმელების ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობა, მათი სენსორული შეფასება, ღვინის დაავადებები, ღვინის ბაზრების თავისებურებები და მომხმარებელთა ქცევა, ღვინის ტურიზმის მნიშვნელობა და ღვინის საერთაშორის ბაზრებზე არსებული ხარისხის მართვისა და კონტროლის მექანიზმები</p>									
<p>მომზადოს აგრარული მეცნიერებების მაგისტრი -</p>									

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არსებული და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
მართავს ღვინის წარმოების სრულ ჯაჭვს -ყურძნის მოყვანა- გაშენებიდან - საბოლოო მომხმარებლამდე.	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

² პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „✓“ სიმბოლოთი.